პროფესიული მომზადების/პროფესიული
გადამზადების პროგრამის განხორციელების
უფლების მიმნიჭებელი საბჭო

19/11/2026

MES 0 26 0001692153

# გადაწყვეტილება

## სსიპ - კოლეჯ „მოდუსისთვის“ „ქართული და უცხოური კერძების მომზადება“ პროფესიული მომზადების პროგრამაზე მსმენელთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ე) ქვეპუნქტის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**


1. სსიპ - კოლეჯ „მოდუსს“ (ს/კ: 216350829) პროფესიული მომზადების პროგრამაზე - ქართული და უცხოური კერძების მომზადება /02644/ გაეზარდოს მსმენელთა ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 50-ით.

2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2026 წლის 19 ნოემბრის №1688440 ოქმის მეშვიდე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.


3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
გამყრელიძე გიორგი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
სანაია სალომე





დანართი

| პროგრამის კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის სახე | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე | პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში | სწავლების ენა | მსმენელთა ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02644 | ქართული და უცხოური კერძების მომზადება | პროფესიული მომზადება | მეხუთე | 22 | ქართული | 50 | ქ. რუსთავი, ჟიული შარტავას გამზირი №4 |